

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თამაზ სოსელიას

ანგარიში

30 ოქტომბერი, 2017 წელი

ანგარიში მოიცავს 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს.

როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;

ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

საკრებულოს წევრის საქმიანობიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიღებული მაქვს საკრებულოს 34 დადგენილებისა და 80 განკარგულების პროექტის განხილვაში.

პერიოდულად ვხვდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებისა და სხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი

თამაზ სოსელია